ხელშეკრულება #_____

ქ. რუსთავი _____ _____ 20 წელი

ერთის მხრივ ..... (ს/კ .....) (შემდგომში - კლიენტი) მისი დირექტორის ..... (პ/ნ .....) სახით და მეორეს მხრივ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), მისი ..... სახით, ვმოქმედებთ რა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის N892 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკურ სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის" (შემდგომში - 892 ბრძანება) საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება:

1.1. **მექანიკური სატრანსპორტო საშუალება** – „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სატრანსპორტო საშუალება ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალება, რომელიც დადგენილ წესით რეგისტრირებულია სააგენტოში;
1.2. **საფასური** - `სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურებისა და ვადების შესახებ~ საქართველოს კანონით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი, დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით, რომელიც გადაიხდება სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის;
1.3. **მომსახურება** - კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით სააგენტოს მიერ კლიენტის განცხადების საფუძველზე მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე ლიზინგის რეგისტრაცია ან/და ლიზინგის რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელება ან/და ლიზინგის რეგისტრაციის გაუქმება, N**892 ბრძანების** მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და `გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის შემცველი, სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა ელექტრონული დოკუმენტის სახით, ლიზინგის რეგისტრაციის თაობაზე სააგენტოს გადაწყვეტილების კლიენტისთვის შეტყობინება ელექტრონული დოკუმენტის სახით, კლიენტის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის თაობაზე მინიჭებული უფლებამოსილების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა;
1.4. **დაჩქარებული მომსახურება** –`სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურებისა და ვადების შესახებ~ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დაჩქარებული მომსახურება;

1.5. **განცხადება** - კლიენტის მიერ N892 ბრძანებით დადგენილი წესით სააგენტოსათვის მომსახურების გაწევის თხოვნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით ელექტრონული დოკუმენტის წარდგენა;
1.6. **ელექტრონული დოკუმენტი** – ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი ან/და ვიზუალური ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა;
1.7. **მატერიალური დოკუმენტი** – ქაღალდის ან სხვა მატერიალური ფორმით წარდგენილი ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა;
1.8. **ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა** – ელექტრონული დოკუმენტების გაცვლის სისტემა, რომლის მონაწილეთა შორის არსებული ურთიერთობები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით;
1.9. **სამუშაო დღე** - ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის სამუშაო დღეებად განისაზღვრება; ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი (საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე და დასვენების დღეების გარდა).

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანია სააგენტოს მიერ კლიენტისთვის მომსახურების მისაღებად ავტორიზაციის მინიჭება და აღნიშნული ავტორიზაციის საფუძველზე მომსახურების გაწევა ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი
3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სააგენტოს მიერ კლიენტისთვის გაწეული მომსახურების სახეობების, რაოდენობისა და საფასურის ოდენობის შესაბამისად.
3.2. გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე.
3.3. გადახდის გრაფიკი - სააგენტოს მიერ კონკრეტული მომსახურების გაწევამდე, მომსახურების საფასურის წინასწარი ანგარიშსწორება.
შენიშვნა: კლიენტის მიერ მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, თუ კი აღნიშნული ვალდებულება ამ მუხლით განსაზღვრული წესით უზრუნველყოფილი იქნება მესამე პირის მიერ.

მუხლი 4. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები
4.1. კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულების დადებიდან 5 დღის ვადაში მიაწოდოს სააგენტოს წერილობითი ინფორმაცია იმ უფლებამოსილი თანამშრომლ(ებ)ის შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ა.შ.), ვისაც ექნება კლიენტის სახელით მომსახურების გაწევაზე განცხადების გაკეთების უფლება №1 დანართის შესაბამისად.
4.2. ამ მუხლის 4.1 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია დაერთვება ხელშეკრულებას დანართის სახით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ამ ამ მუხლის 4.1. პუნქტში მოცემულ მონაცემებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს,

წინააღმდეგ შემთხვევაში შეუტყობინებლობით გამოწვეულ ზიანზე პასუხს აგებს კლიენტი.
4.3. კლიენტს ამ მუხლის 4.1. პუნქტში განსაზღვრული ინფორმაციის მიხედვით გადაეცემა `მომხმარებლის სახელი~ და `პაროლი~, რომლის მეშვეობითაც კლიენტი შეეძლებს გააკეთოს ელექტრონული განაცხადი და მიიღოს ამ ხელშეკრულბით განსაზღვრული მომსახურება.
4.4. პროგრამულად უზრუნველყოს კლიენტის თანამშრომელისათვის პროგრამაში პირველივე შესვლისთანავე პაროლის შეცვლის მოთხოვნის გენერირება, ასევე პაროლის ცვლილების ავტომატური მოთხოვნა თვეში ერთხელ.
4.5. ამ მუხლის 4.3 პუნქტით განსაზღვრული `მომხმარებლის სახელითა~ და `პაროლით~ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ჩაითვლება კლიენტის მიერ გაკეთებულ განცხადებად და შესაბამისად კლიენტს დაეკისრება გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა.
4.6. კლიენტის თანამშრომლების მიერ `მომხმარებელის სახელისა~ და `პაროლის~ გამოყენების მართლზომიერებაზე პასუხს აგებს კლიენტი.
4.7. სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის, ხოლო კლიენტის მიერ მომსახურების მიღების სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება N892 ბრძანებითა და ამ ხელშეკრულებით.
4.8. კლიენტი ვალდებულია ლიზინგის რეგისტრაციის თაობაზე განცხადების გაკეთებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს ლიზინგის რეგისტრაციისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მატერიალური სახის დოკუმენტები, კერძოდ: ლიზინგის გარიგება, ლიზინგის რეგისტრაციისათვის განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი მატერიალური სახის დოკუმენტები, აგრეთვე სხვა დოკუმენტები, რომელიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიღებასთან, გარდა კლიენტის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის თაობაზე უფლებამოსილების მინიჭების ან მინიჭებული უფლებამოსილების გაუქმების დამადასტურებელი მატერიალური სახის დოკუმენტისა.
4.9. კლიენტის მიერ მომსახურების მიღების, ხოლო სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის პირობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკურლებითა და მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 5. სააგენტოს უფლებები და ვალდებულებები

5.1. სააგენტო ვალდებულია:
5.1.2. კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილოს კლიენტის განცხადება მომსახურების გაწევის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
5.1.3. გაუწიოს კლიენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მომსახურებისათვის ელექტრონული

დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი ელექტრონული დოკუმენტი (განცხადება) სრულად აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს;
5.1.4. კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდოს მას ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესახებ წერილობითი ინფორმაცია;
5.1.5. მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაუსაბუთოს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საფუძველი;
5.1.6. კლიენტის ან/და მესამე პირის მიერ მომსახურების შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ხელმეორედ განიხილოს მომსახურების გაწევის საკითხი.
5.1.7. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.
5.1.8. კლიენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, დაუბრუნოს მის მიერ (ზედმეტად) გადახდილი თანხა.
5.1.9. კლიენტის მიერ საფასურის კანონით დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით გადახდის შემთხვევაში, წერილობით მოთხოვნის საფუძველზე, დაუბრუნოს კლიენტს სხვაობა გადახდილ თანხასა და კანონით დადგენილ განაკვეთს შორის.
5.1.10. კანონიერი საფუძვლის არსებობისას მომსახურების გაწევაზე უარის შემთხვევაში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სრულად დაუბრუნოს კლიენტს გადახდილი თანხა, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.
5.1.11. ხელი შეუწყოს კლიენტს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.
5.2. სააგენტოს უფლება აქვს:
5.2.1. წინასწარ მოსთხოვოს კლიენტს მომსახურების საფასურის გადახდა;
5.2.2. კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე ან გააუქმოს მომსახურების გაწევის შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები.
5.2.3. მომსახურების გაწევისას მოითხოვოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების წარდგენა.
5.2.4. მოსთხოვოს კლიენტს ამომწურავი ინფორმაცია კლიენტის მიერ გადახდილი საფასურ(ებ)ის შესახებ.
5.2.5. კლიენტთან ან/და მესამე პირთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს კანონმდებლობითა ან/და ამ ხელშეკრულებით.
5.2.6. კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე.
5.2.7. ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, 10.4 და 10.5 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 6. კლიენტის უფლებები და ვალდებულებები
6.1. კლიენტი ვალდებულია:
6.1.2. შეასრულოს სააგენტოს კანონიერი მოთხოვნა.

6.1.3. მომსახურების გაწევამდე წინასწარ გადაიხადოს მომსახურების საფასური.
6.1.4. მომსახურების გაწევისათვის სრულად წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ელექტრონული ან/და მატერიალური დოკუმენტები და გაიაროს ყველა საჭირო პროცედურა.
6.1.5. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.
6.1.6. სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებით კლიენტის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურ(ებ)ის შესახებ.
6.1.7. ხელი შეუწყოს სააგენტოს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების რეალიზებაში.
6.1.8. სააგენტოს თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს მასზე გადაცემული `მომხმარებელის სახელი~ და `პაროლი~.
6.2. კლიენტს უფლება აქვს:
6.2.1. კანონიერი საფუძვლის არსებობისას მოითხოვოს შესაბამისი მომსახურების გაწევა ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით.
6.2.2. გადახდილი მომსახურების საფასურ(ებ)ის შესაბამისად მოითხოვოს დაჩქარებული მომსახურების გაწევა.
6.2.3. იდავოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტები.
6. 2.4. მომსახურების დაწყებამდე უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე.
6.2.5. სააგენტოსგან მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ სრული ინფორმაცია.
6.2.6. წერილობით მოითხოვოს გამოუყენებელი მომსახურების საფასურ(ებ)ის უკან დაბრუნება.
6.2.7. მოითხოვოს სააგენტოს მოთხოვნის კანონიერების დასაბუთება.
6.2.8. სააგენტოსთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით რაც მინიჭებული აქვს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით.
6.2.9. ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება 10.4 და 10.5 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის.
მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი
8.1. მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით (ფორს-მაჟორი).
8.2. დაუძლეველ ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტ(ებ)ის ან გარემოებ(ებ)ის არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:
8.2.1. ხანძრი და აფეთქება, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება;
8.2.2. სამხედრო მოქმედება, აჯანყება, სამოქალაქო ომი.

8.3. დაუძლეველ ძალად ასევე მიიჩნება მხარეთაგან დამოუკიდებელი ისეთი გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას და თუ ასეთი გარემოების არსებობის/დადგომის შესახებ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდათ მხარეებს.
8.4. მხარე, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზად დაასახელებს ფორსმაჟორულ გარემოებებს, ვალდებულია მათი დადგომისთანავე აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ და დაადასტუროს მათი არსებობა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფორსმაჟორული გარემოებების შესახებ გამოცხადებული იქნება სახელმწიფო ორგანოების მიერ საჯაროდ, საინფორმაციო და მასობრივი საშუალებების დახმარებით.

მუხლი 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
9.1. ხელშეკრულების პირობების შესრულებისას წამოჭრილი დავები უნდა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.
9.2. 20 დღის განმავლობაში ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სხვა პირობები
10.1. ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი #1 და #2, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
10.2. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით.
10.3. მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, მხარეებს უფლება არა აქვთ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობები (მათ შორის მომხმარებლის სახელი და პაროლი) გადასცენ მესამე პირს.
10.4. ორივე მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლამდე თავისი სურვილით ცალმხრივად მოშალოს ეს ხელშეკრულება, რის შესახებ იგი ვალდებულია 30 დღით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.
10.5. მხარე არ არის ვალდებული განუმარტოს მეორე მხარეს ამ მუხლის 10.4 პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.
10.6. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების ან კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე.
10.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელის თითო ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.

მუხლი 11 ხელშეკრულების შეწყვეტა
11.1.ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
11.1.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ცალმხრივად მიღებული გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

11.1.2. მხარის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა;
11.1.3. ხელშეკრულების ვადის ამოწურვა;
11.1.4. კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა გარემოებები.

მუხლი 12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 1 წლის ვადით.

12.2. ამ ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას, ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად იმავე ვადით და პირობებით, თუ მხარეები ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე, წინასწარ წერილობით არ განაცხადებენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს.

მხარეთე რეკვიზიტები

„კლიენტი“	„სააგენტო“
მის: **ს/კ .....**	**მის: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი, 21-ე კმ.** **ს/კ 205190513**
	მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი -TRESGE22 მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი-707157051

_____ _____

/ / / /

დანართი N1

პირი, რომელიც უშუალოდ იმუშავებს პროგრამაში:

სახელი: .....

გვარი: .....

პირადი ნომერი: .....

ტელეფონი: .....

ელექტრონული მისამართი: .....

უფლებას ვაძლევთ განახორციელოს შემდეგი ქმედებები: ა) განცხადებით სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის აღება, ბ) ლიზინგის რეგისტრაცია, გ) ლიზინგის რეგისტრაციის გაუქმება.

დირექტორი:.....

სახელი და გვარი: .....

ელექტრონული მისამართი: .....

მობილური ტელეფონი: .....

დანართი N2

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურები და გადახდოს კოდები		
კოდი	მომსახურების დასახელება	თანხა
L001	ლიზინგის რეგისტრაცია	**50**
C004	სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის მომსახურების საფასური განაკვეთი	**20**
C016	სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა განცხადების შეტანიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისთვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი	**15**
C017	სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა განცხადების შეტანიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისთვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი	**40**